მზია მანჯავიძე

აკა მორჩილაძის მოთხრობის ‘’ა, პუჩინი’’-ის მიხედვით

" გაუმარჯოს პუჩინის! "

მოქმედი პირნი:

გულფია-- 60-65 წლის, ყოფილი მომღერალი ქალი.

გულფიას და-- ცაცა, იმავე ასაკის ქალი

ჯენეტო -- იმავე ასაკის მევიოლინე ქალი

სანტექნიკოსი ვალერი--40-45 წლის მამაკაცი

მეზობელი ვენერა-- 50-55 წლის ქალი

მკითხავი ნეჟინა--50-55 წლის ქალი

1998 წელი. დეკემბერი.

თბილისური ბინა. ფანჯრის ქვეშ გამათბობელი მოჩანს.

ოთახის ცენტრში დგას ჟურნალების მაგიდა, დივანი, ერთი სავარძელი,

მათ წინ ტელევიზორი დგას . მაგიდაზე დევს დისტანციური პულტი, საფერფლე, ჟურნალები ზედ დადებული სათვალით.

ერთ კედელთან დგას დესაუ, იქვე ჰკიდია ძველი საათი კიდია.

მეორე კედელთან დგას ძველი პიანინო, რომლის თავზე მოსჩანს კედელზე დაკიდებული ულვაშებიანი, ასაკოვანი მამაკაცის ფოტო. მეორე კედელზე გაკრულია დიდი შავ-თეთრი აფიშა , ზედ გამოსახულიაახალგაზრდა, ეფექტური გარეგნობის მომღერალი ქალი. მის ქვეშ მოჩანს წარწერა დიდი ასოებით --*პუჩინი. "ჩიო ჩიოსანი". მღერის გულფია ნორაკიძე*

სცენაზე შემოდის თბილ ხალათში ჩაცმული გულფია, თავზე შემოვეული პირსახოცით. ქალი საათს გახედავს, ჟურნალების მაგიდასთან მიდის, ჯამიდან სიგარეტის კოლოფს იღებს, მერე დესაუსთან მიდის, სანთებელას აიღებს სიგარეტს გაჭირვებით უკიდებს. მაგიდასთან ბრუნდება, პულტს იღებს და ტელევიზორს რთავს, ფეხზე მდგარი უყურებს.

ისმის საინფორმაციო გადაცემის ხმა. გულფია სავარძელში ჩაჯდება და ტელევიზორს უყურებს. ცოტა ხანში გულფია პულტს ბრაზიანად აწვება.

-- არა, აი შენ არ მოგისმენ (სხვა არხზე გადართავს, ისმის სტუდიიდან გახურებული კამათი --ჩხუბში გადასული)... უფ, სკუკა.

(ქალი ტელევიზორს გამორთავს. საიდანღაც ისმის კაკუნის ხმა.

ქალი წამიერად გაირინდება--კაკუნს მიაყურადებს. ცოტა ხანში ისმის კარებზე ზარის ხმა. გულფია საათს შეხედავს)

გულფია

-- უკვე? საათი არა გაქვთ? ვაიმე, ამ თავს რა ვუყო ეხლა. არ მომაწევნოთ რაა. (ქალი სიგარეტს აქრობს, კვამლს ხელს გაუქნვს, დგება და კარის გასაღებად გადის. ჰოლიდან ისმის მისი ხმა)-

-- კტო ტამ? აჰ, შენ რა გითხარი. (ისმის კარის გაღების ხმა)

გულფიას ხმა

-- გოგო, არ მოწიო აქო, ჩემი და წასულია მღვდელი უნდა მოიყვანოს. ა ტამ ნაკურნნა და ახლა ძლივს დავიბანე. ვერ აცხელებს ის კარგად, მთელი დილა უნდა ელოდო-- დენი არ ვარგა.

(გულფია ოთხაში მოუძღვის ჯენეტოს, რომელსაც პალტო აცვია, ბერეტი ახურავს, ხელებზე თითებწაჭრილი ხელთათმანები მოუჩანს, ჩანთა და ვიოლინო უჭირავს)

გულფია

--გაიხადე, გაიხადე... გაჭამო რამე...ერთი ამას მოვიხსნი (თავზე ხელს იკიდებს და გადის)

(ჯენეტო ვიოლინოს და ჩანთას დებს. პალტოს იხდის)

ჯენეტო

-- არა მშია. ნუგზარის დაბადების დღე იყო და მოიტანეს ტორტები, რაღაცეები, პეროგი კვერცხებიანი.

(ქალი ხელთათმანებს იძრობს, გამათბობელთან მივა)

--ნიჩივო, კარგად იმასა შვრება, რო ამბობდით-- არ ათბობსო.

(საიდანღაც კაკუნუს ხმა ისმის. ჯენეტი აქეთ იქით იხედება. შემოდის გულფია , პირსახოცი მოუხსნია. კაბა აცვია.)

გულფია

-- კი, კარგად ათბობს. ეგ ცაცას ელანდება უკვე ეგენიც.ლამის არის ყური მიადოს. ''დაგეწვება''-- ვეუბნები..ააა3...(ხელს აიქნევს) არ შესჭამ?

ჯენეტო

--და იქნებ არ ელანდება, რაღაც კაკუნები შემომესმა ეხლა

გულფია

--ეხლა შენ ..კაი რა, რაღაც კაკუნები მეც მესმის ხანდახან, მაგრამ რატომ მაინდამაინც ძმიტრი უნდა იყვე ეს?--მეტი საქმე არა აქვს ეხლა მაგას, აქ გვიკაკუნოს-ცარსტვა იემუ ნებესნოე (გულფია კედელზე დაკიდებულ კაცის სურათს უყურებს). მოდი რა გაჭამო—კაი შპროტი მაქვს..

ჯენეტო

--აბა რას გეუბნები- ნუგზარის დაბადების დღე იყო და მოუტანია ყველაფერი. ღვინოებიც..პატივი გვცა, რო გათბობა არ არის და აი, ვითომ მაგარიჩ.

გულფია

--იშჩდო ჟივ სტარი პაკასნიკ.. ამ სიცივეში მაინც რეპეტიციებს ატარებს...

ჯენეტო

--ატარებს, იმ სიგრძეს. უკვე თავში რა აქს, არ ვიცი. თვითონ კი დგას (ხელებით დირიჟორობს) და შენ ზიხარ. თვითონ კი თბება (იქნევს ხელებს ისევ)

გულფია

--და ხელები არ გიცივდება?

ჯანეტო

--აა.. (ხელებს ატრიალებს, ხელთათმანებზე იყურება)

გულფია (თავს უქნევს, ჯენეტი დგება)

-- შენ არ გიცივდება, სხვას გაუცივდება. (უცებ გაეცინება) გახსოვს, გენრიხას რო ვეუბნები-- ''ანა ჟენშჩინა გარიაჩაია'' აი ეხლა სმიჩოკს აიღებს, ცეცხლს წაუკიდებს ინსტრუმენტს. გაგიჟდა გენრიხა. --''ამდენი ენერგია და სიცხე აქვს''-- ვეუბნები.

(ქალები იცინიან. ჯენეტო გულფიას უკან დგება , ხელთათმანებს იხდის და სეანსის გაკეთებას იწყებს გულფიას თავს ზევით ხელებს წრიულად მოძრაობით)

ჯენეტო

---შეეშინდა იმას, ხო იცი, რა მშიშარა იყო-- იფიქრა, როგორც ველურები ტყეში, ისე გააჩენს ცეცხლს ახლა ვიოლინოზეო.(ხელებით აჩვენებს ვიოლინოზე დაკვრას).. შალიკო როგორ გაბრაზდა. აიღებს თეფშს, დაარტყამს ძირს--მალჩუ. აიღებს მეორე თეფშს, დალეწავს ძირს-- ია მალჩუ... ''წავალ ორკესტრიდან... ეგ შენი პაკლონნიკი იყოს, მე წავალ''-- როგორ იცოდა..ეჭვიანი.

გულფია

--რატომ არ იცოდა--ის გენრიხა წებია დაბივალსია ი...

ჯენეტო

--კარგი ერთი, ჟლობი...სულ შეშინებული აქეთ-იქით იყურება თან... იმას მართლა ეგონა, რო ცეცხლი მიკიდია ხელებზე.-- ცხელი ქალიო. შენც ერთობოდი, ახლა მე მკითხე..

გულფია

--ვ ლიუბომ სლუჩაე, შალიკო იყო კარგი ქმარი, კარგი მუსიკოსი იყო...ქმარი ესაა--იცოდა. წესი იცოდა. ყველაფერი ქონდა მაგას ადამიანურად.

ჯენეტო (ამთავრებს სეანსს)

--ეჰ, (სიგარეტს იღებს მაგიდიდან) მოვწიო ერთი?. .(დესაუდან სანთებელას იღებს) თუ კუხნ ჲაში გავიდე?

გულფია

-- მოწიე, ერთი, მაგი რო (ისმის კაკუნის ხმა. გულფია ჯენეტოს კედელზე ჩამოკიდებულ გადიდებულ ფოტოსკენ მიუთითებს)--თუ ძმიტრიი აქ არის, .ჩვენ არ ვართ აქ. იმიტომ რომ ჯენეტო, დარაგაია, ჩვენ ვართ მოპირდიპირე ადგილზე, ჩვენ და ძმიტრიი, ჯერჯერობით.

ამას ქვია ბოდვა და ექიმს ვერ უბედავ უხსენო.

ჯენეტო (ხელებს სეანსის პოზაში იჭერს)

-ცაცას როცა გავუკეთებ ხოლმე ამას, არ არი უკეთ?

გულფია

--ნუ, ძმიტრიიმ თუ არ დააბრახუნა, კარგად არის.. და თუ ბარაბაშკაა და არ არის ძმიტრიი? და სამი დღე გაბუტული იჯდა, რომ მე ვაკადრე ძმიტრიის და შევადარე ბარაბაშკას. კი ბატონო, იყო ამხელა ინჟინერი, ასეთი რაზმახი, ამხელა თანამდებობები სტროიკებზე მოდიოდა ეტატ... მჟავანაძე და რა ვქნათ...ახლა აქ აშენებს, თუ რას აკაკუნებს. მერე ვთქვი, მეზობელს აქვს რემონტი. ის კაკუნი ხო არ არის. ძმიტრის უყვარდა შენება... მე არ მესმის-მეთქი, ვეუბნები. –''შენ დაყრუვდი''--ამბობს... და ა უ მენია აბსალიუტნი სლუხ!--მაგისგან გასხვავებით. დაავიწყდა ვინ ვარ მე...

ჯენეტო

-- მოდი კაკუნზე შევთანხმდეთ--კაკუნი მართლა არის , წეღანაც შენ თვითონაც ხო გაიგე არა?..

გულფია

--მერე რა, ძმიტრი აქ რა შუაშია ? დაპუსწიმ ბარაბაშკაა. ან რემონტი აქვს ვიღაცას..გაუთავებელი, საიდან მოიტანა-ძმიტრი აკაკუნებს?... წავიდა ეხლა ბატიუშკა უნდა მოიყვანოს და აკურთხებინოს სახლი .

(გულფია სიგარეტს უკიდებს)

ჯენეტი

--ეხლა აქ ეგენი მოვლენ?..ვაი და ჩვენ რომ აქ კვამლს დავახვედრებთ?

გულფია

---რაღაცას ვიზამთ..გავანიავებთ-არა უშავს, ბოლო- ბოლო პატარა გოგოები ხომ არ ვართ? (ნაფაზს არტყავს. იცინიან)

ჯენეტო

--ყველაფერი იქნება კარგად. გაახსენდა კაცი და ვეღარ მოიშორა.

გულფია (ნიშნისმოგებით)

--- იესლი ძმიტრიი პაზვოლიტ, კარგად იქნება.

ჯენეტო

-- პაზვოლიტ, სად წავა? (ისმის ზარის რეკვა. ჯენეტო გაჩერდება) აი, მოვიდა...ეს საფერფელე მოიტა...

გულფია

-უ ნიდო კლდუჩ, ეგ არ არის...(გულფია კარის გასაღებად გადის) ახ! (ისმის კარის გაღებს ხმა. '' მოდი, მოდი.'' (გულფია ოთახში შემოუძღვება ვენერას, რომელსაც აცვია ხალათი და ჩუსტები, ხელში გასაღებების ასხმულა უჭირავს, პალტო მოსხმული აქვს , თავზე შარფი აქვს მოხვეული.)

გულფია

---მოდი, ვენეროჩკა. აი, ჩემი პადრუგა, ჯენეტო.

ვენერა (გასაღებს აჩხრიალებს. ჯენეტოს ცივი ღიმილით უკრავს თავს)

-- გამარჯობა. (ჯენეტოც ესალმება. ვენერა ვიოლინოს გადახედავს) მოვიდა ბრიგადა.

გულფია

--რა ბრიგადა?

ვენერა

-- საავარიო, სანტეხნიკები...კორნელის რომ წყალი ჩასდის...

გულფია

-- ოჰ, ბოჟე მოი, აღარ გათავდა?

ვენერა

--საიდანღაც ეპარება... ანუ, ჩემგან არ ჩადის.

გულფია

--ძალიან კარგი. მაგის შარებს გადარჩი.

ვენერა (ხაზგასმით)

-- მაგრამ, შეიძლება თქვენგან ჩადის!.

გულფია (ნაფაზს არტყავს)

--ჩერეზ დვა ეტაჟა? რა სისულელეა.

ვენერა (ხელით ინიავებს სიგარეტის კვამლს ცხვირთან)

-- როგორ, შენს ქვემოთ ხო დაკეტილი აქვთ -- კოჭლაშვილების გოგოს... იმის ქვემოთ ვარ მე...ზემოთ, შენ. შეიძლება, ეპარება. მოდის და მიყვება კედლებს და ასველებს. იმათთან მთელი სპალნის კედელი სველია.

გულფია

-- ნი რასკაზივაი რაღაცა მოლა ნასრედინი...(საფერსფლეში აფერფლებს სიგარეტს)

ჯენეტო (გადაიკისკისებს)

-- მოლას ვირი.

გულფია

--ეგ არა, მეორე-- პრა ვლიუბლიონნიხ.

ვენერა (ჯენეტოს და ვიოლინოს ავად გადახედავს)

-- მოკლედ, მოვიდა ბრიგადა. ეხლა ჩემთან ამოწმებენ. მერე მოვლენ შენთან და ამასთან, შენ გვერდზე. რა ქვია, რძლის დასთან...თქვენ ხართ მეოთხე და ბოლო. მორჩა. სხვა არ არი.

გულფია

-- ეგებ წვიმის წყალი ჩადის.

ვენერა

-- ნახა კორნელიმ. კრიშაზე დაასხა გუდრონუ, არ გახსოვს? მაინც ჩამოდის. ანუ, რომელიღაცა რო ვუშვებთ წყალს, იქ ჩადის.

გულფია

--ბოჟე მოი, მღვდელი უნდა მოვდეს ეხლა.

ვენერა

-- რომელი?

გულფია

-- ნუ... ცაცას მოყავს და მაგ წყლებსაც ვეტყვი. დააშროს და ხო არ უნდა დაანგრიონ რამე?

ვენერა

-- ჯერ ასე შეამოწმებენ. თუა სისველე.

გულფია

--სისველე ბუმიტ, გაქანებული თებერვალია. ეხლა მაგათ საქმე გამიჩინონ აქ...

ვენერა

--არა, არა, კარგი ბიჭები არიან...ამოვლენ, შეხედავენ, შეამოწმებენ.

გულფია

--ოჰ...

ვენერა

-- კარგი, მოკლედ , გაგაფრთხილე, ხო, ტელეფონი ცუდად გიდევთ— ვრეკავდი წეღან .. (გადის. გულფია მიყვება. ჯენეტო ტელეფონის ყურმილს იღებს, ყურთან იდებს, ისევ კიდებს) ..და რომელი მამაო?..ძალიან კარგია მამა სევასტი.

(ჯენეტო ისევ გ ამათბობელთან მიდის, თითებს უკაკუნებს, მელოდიას აწყობს)

გულფია

--ოჰ, ნი ზნაიუ კარგი რას ნიშნავს?..

ვენერა

-- დიდი მადლი აქვს. (ისმის კარის მიჯახუნების ხმა)

გულფია (ოთახში ბრუნდება)

--ვიძიშ? ტი იდო ვიძილა? აი, ასეთი ზრდილობა და სულ ასეთი ხალხი გარშემო --''ხახვი გაქს?'' ხახვი...--ხახვი არ მაქვს. მაგრამ, ყოველდღე--

''ხახვი გაქვს, ხახვი? ხახვი? ხახვის სუნი მინდა ეხლა მე აქ, რო მოვა სტუმარი?

ჯენეტო

--არ მომამთავრებინა...(გულფია ხელს ჩაიქნევს) სლუშაი, მე ხო არ წავიდე? ეს, მღვდელი, რაღაცა, მაინც ოჯახის საქმეა..გულფია---ს უმა საშლა?- დაჯექი! გათბი, კიდე რამდენი მარშრუტკაში უნდა იჯდე...თუ არა გცივა, შენ გაათბე...გენრიხა...(იცინიან)

ჯენეტო

-- გენრიხას ძვლები აღარ დაგორავს...

(ისმის კაკუნის ხმა, გულფია ყურადღებას არ აქცევს. ჯანეტი გულფიას კაკუნზე იდუმალი სახით მიუთითებს , მაგრამ კაკუნი უფრო ძლიერად რომ გაისმება, ჯანეტი გულფიას კარისკენ ანიშნებს)

გულფია (სწრაფად წამოდგება)

-- ნუ, ვერ დავჯექი. ყავამდე ვერ მიგიყვანე!

(გადის, კარს აღებს. ''მობრძანდით. არა, აქეთ მობრძანდით, მე ასე არ გავზრდილვარ, პირდაპირ აბაზანაში შევიყვანო მოსული''.

შემოდის ვალერი, მას მოსდევს სახეგაბრწყინებული გულფია)

---ეს ჩემი მეგობარი ჯენეტო...ნუ , ვულგარულად-ჟანეტტ.

(გულფია კისკისებს. ვალერი თავს უკრავს ჯენეტოს. მხარზე ჩანთა აქვს გადაკიდებული, გახსნილი მოკლე პალტო აცვია. კეპი ახურავს)

--თქვენ?.

ვალერი

--ვალერი.

გულფია

--გულდა... მე მქვია გულდა (ინტერესით ათვალიერებს ვალერის, იღიმის, თვალები უბრწყინავს) ბრიგადა ბრძანდებით?

ვალერი

-- დიახ...დრო რო არ დაიკარგოს, მე ამოვედი თქვენთან. ვნახავ, ნაპარნიკი ქვემოთაა.

გულფია

-- სწორეა. ვენერა ამას ვერ მოიფიქრებდა. ცდილობს სუდში მიგვათრიოს, რაღაცა წყლის გამო.. დაბძანდებით?

(გულფია სავარძლიდან ვიოლინოს და ჩანთას იღებს

ვალერი

--არა, ვნახავდი..ჯობია..თქვენ უკრავთ ამაზე?

ჯენეტო

- კი. ვუკრავთ...

გულფია

--ჩვენ, არამარტო ვუკრავთ. დარაგოი, ჩვენ ვმღერით. ჩვენ ვართ მუსიკოსები... მე ვარ ნაროდნაია არწისტკა რესპუბლიკი. ჯენეტო არის, ზასლუჟენნი ძეიწელ ისსკუსტვ გე ესესერ... რომელიც აღარ არის.

ვალერი (დაირცხვენს)

-- მეც ვუკრავდი ამაზე.. მეეექვსე კლასამდე.

გულფია (აღტაცებით)

--ბოჟე მოი, კაკია პრელესწ.

ჯენეტო (ცნობისმოყვარედ)

--ვისთან?

ვალერი

--მესამე მუსიკალურში.. მერე ძაან შორიდან მიწევდა სიარული და გამომიყვანა დედაჩემმა.

გულფია (აღტაცებული შემპარავად ათვალიერებს ვალერის)

---გესმის ჯანეტ? რამდენი ასეთი ტალანტი ქრება...

ჯენეტო

--- არა სთქვა. ...(მოულოდნელად) ვალერი, კუჭი ხო არა გტკივათ თქვენ?

ვალერი

--- კი.ხანდახან. თქვენ..

გულფია

--- ნი პუგაი მალჩიკა.

ჯენეტო

-არა, არ შეგეშინდეს.მე ცოტა ვიცი მკურნალობა და ვგრძნობ, ადამიანს რა აწუხებს ხოლმე.

ვალერი

- მართლა?..რა საინტერესოა.

ჯანეტი

--მე შემიძლია ეხლავე..აი ეხლა გიმკურნალოთ.

ვალერი

--ეხლა?.. როგორ?

ჯანეტი (მასთან ახლოს მიდის)

-- აი დაჯექით აქ (ვალერის სკამზე აჯენს), აი ასე..და მოდუნდით, დანარჩენს მე ვიზავ..

(აფორიაქებული გულფია ვალერის ზურგს უკან დგება და ხელებით რაღაცას ანიშნებს ჯენეტის, რომელიც მას ყურადღებას არ აქცევს.

ქალი ვალერის კუჭთან ხელს ადებს)

ჯანეტი

--აი აქ, გტკივათ?

ვალერი

---მგონი კი (მიყურადებით)..არ ვიცი

ჯანეტი

--მოდუნდით , მოდუნდით, ეხლავე გიშველით

(ჯანეტი სეანსის ჩატარებას იწყებს -- ხელებს წრიულად ნელა ატრიალებს. ვალერის შეცბუნებული სახე აქვს. გულფია თმებს ისწორებს, თან ჯანეტს თვალებს უტრიალებს.)

ვალერი (მოუსვენრად)

--მმ, ქალბატონო..მოდით ჯერ აბაზანაში შევიხედები და მერე, საქმეს რომ მოვრჩები, წყნარად ვქნათ ეს ამბავი, აა?

ჯანეტი (აგრძელებს)

--არა არა, მოიცათ ეხლავე, აი აქ ვგრძნობ სიმძიმეს. რა ჭამეთ წუხელის?

ვალერი

--წუხელ? არაფერი..

ჯანეტი

--როგორ თუ არაფერი? .. გაიხსენეთ. აბა აქ რატო ვგრძნობ მე სიმძიმეს?

ვალერი (ცოტა შეშინებული)

--ხოო?

(გოლფია მოუთმენლად მიდის ვალერისთან, ხელს ჰკიდებს და წამოაყენებს)

--ჯანეტ, დააცადე ბიჭს, საქმეზე მოვიდა, რა დროს კუჭია?

(ჯანეტი გაწბილებული სახით, მდუმარეთ ჯდება სავარძელში.)

ვალერი (უხერხული ღიმილით უკან უკან იწევს)

--ხოო, ვნახავ ერთი იმ მილებს თქვენთან. ვენერამ—მაგათგან ჩადის ალბად წყალიო..

გულფია (გაბრაზებით)

--რას ამბობს ეგ ქალი! და თქვენც დაგაჯერათ, რომ აქედან ორი სართულის ქვევით წყალი ჩადის? უბრალოდ, თვითონ არ უნდა რამე გააკეთოს და ჩვენ გვაწმენდავს ხელებს.. წამოდით ნახეთ და თავად დარწმუნდით, ჩემო ვალერი, გალუბჩიკ,

(გულფია ხელს წელზე მოკიდებ ვალერის და გაჰყავს. სცენიდან გასვლისას უკან მოიხედება და ჯანეტის თვალებს დაუქაჩავს.

ჯანეტი ფარხმალდაყრილ ჟესტს აჩვენებს ხელებით)

ვალერი ხმა

--ხო მე... ვნახავ

(შორიდან ისმის გულფიას ხმა)

--კი,კი,კი...მოი დარაგოი, წამობრძანდი. თუ არ აღმოჩნდება დაზიანებული, მაგარიჩი ჩვენზეა.

(ჯენეტო ვილოინოს დასწვდება, ყუთს ხსნის, საკრავს ამოიღებს, სახელოს გადაუსვამს, თითებს ამოჭკრავს ფრთხილად სიმებს. გულფია ბრუნდება. გაღიმებული, მელოდიას ღიღინებს '' უნ ბელ დი ვედრემოს'', მადამ ბატერფლაიდან)

გულფია

--მომისმინე, . რა ცხოვრებაა, ხედავ? ბავშვმა ვერ იარა...(ისევ ღიღინებს, ხმას ოდნავ უწევს)

ჯენეტო (ვიოლინოს დახედავს)

--ახლა, ნუ მომთხოვ აკომპანიმენტს...

გულფია

-- არა, (იცინის) ისე, კი შეგეძლო.

ჯენეტო

--რაძი ბოგა, ია ბი ჩტო ნიბუც შალნოე სიგრალა.

გულფია

-- სლუშაი, ამ გადაბმბულ წარბებში რაღაცა არი... არა?-ძალიან მუჟსკოი. უბრალო აი, როგორი უბრალო ბიჭია და, კაცია, რკინა... არაფერი ზედმეტი. იტყვი, რო მესამე მუსიკალურში იარა? სანწეხნიკ!

ჯენეტო

--მუშაობს.

გულლფია

--ვოტ ჩივო ვ წიბე ნი ვინაშუ--სიძიშ,კაბუდტო ნიკაკოვა ინწერესა...და უცებ კუჭი!

ჯენეტო (იცინის)

--ოი, გაჩერდი, შენი ჭირიმე. მართლა რაღაც ვიგრძენი კუჭში.ხო იცი რომ ნიჭი..რაღაცა.

გულფია

--აჰაა, იმის კუჭმა დაგაინტერესა. (იცინიან) კიდე, ზა სკრიპკოი პაწიანულას

.. მოდი, უნდა გაჭამო და მგონია, არ არის ცუდი დღე. ვიშნიოვკაც გვჭირდება.

(დესაუს კარს აღებს, იქედან ძველებურ გრაფინს იღებს, მუქი ნაყენით და სამ სირჩას, მაგიდაზე დგამს)

--ეხლა მოვა სუდაჩკი, ა ნატურელ...ნო ვ ვიძე რიჟსკიხ შპრატოვ და მაცონის ცხნეტსკიხ გორ... ბეზ დოლმი!

ჯენეტო (გადაიკისიკისებს)

- გულ, რა საყვარელი ხარ ყოველთვის

გულფია

-ისა, ვართ. რა ქვია--მაჩიხა სამანიშვილი (იცინიან) მი ბედნიიე, ბედნიიე...

(გულფია არიის ღიღინით გადის. ჯენეტო ვიოლინოს მიუბრუნდება.

შორიდან ისმის გულფიას სიმღერის ხმის ნაწყვეტები. ჯენეტო ვიოლინოს ყუთიდან ყელსაბჯენს იღებს, კისერზე შემოიბამს, საკრავს მოირგებს, ხემს იმარჯვებს და ძალიან ხმადაბალა აყოლებს ვიოლინოს გულფიას ხმას. ცოტა ხანში შემოდის გულფია, ღიღინით მოაგორებს საჭმლიანი თეფშებით გაწყობილ მაგიდას,, ცერს დაანახებს ჯენეტოს და ვიოლინოზე მიანიშნებს)

გულფია-- შპროტს გახსნი შენ!

ჯენეტო (ვიოლინოს ყუთში დებს, ხემსაც ზედ დაადებს)

-- გავაღებ, ხო...(მაგიდას მიიგორებს)

გულფია

--მე კიდე მივხედავ ამას. (გრაფინიდან ორ სირჩაში ასხამს ნაყენს. და ღიღინებს ''ჩიო ჩიო სანის '' არიას) ნუ,კაკ?

ჯენეტო

--ეტა ბილა ტრაგედიია--ვოი გოლოს! .მაგის გაქრობა იყო, მოკვდომა. მახსოვს, რო სმიჩოკი მიჭირავს და ვფიქრობ- ‘’ რატო მოვედი დღეს აქ? ვზივარ ამ ორმოში.’’ უვერტიურა დაიწყება. ყველა თავის ინსტრუმენტს ამზადებს და ველოდები-- ფიგარო. ჩემი გულდა არ იქნება... და, აი, სულ ლოყები რო გამიცხელდა. გახსოვს, რო მოვედი ღამე, და სულ ცხელი...და თქვენ იქა, პლეხანოვის სახლში, ვახტანგი ზის, და შენ ისეთი ლამაზი, ისეთი ლამაზი--კაკ ანტუანეტა .

გულფია (ნაყენს ასხამს. ხელებს გაშლის)

--კარგი. ყველაფერი კარგი იყო. მაგიც. ჯობია ადრე დაკარგო ხმა, რომ ისევ ქალი მაინც დარჩე...(სირჩას უწვდის. ჯენეტო ჩამორთმევს)

-- ა პუჩინი!

ჯენეტო

-- პუჩინს გაუმარჯოს! (უჭახუნებენ)

(იწყება პუჩინის მუსიკა ''ჩიო ჩიო სანი-დან'' -ჩანაწერი)

გულფია

--ხო, იცი. ია, ზა ნიმ... ჯოჯოხეთში--აი,პირდაპირ ტაფებზე. ზა პუჩინი, ვამბობ.

ჯენეტო

--ქვაბებში.

გულფია

--ხო, ტაფებში, ის იწვა.. მონწისუმა, მონწისუმა, და?

ჯენეტო

--ა, რა ვიცი. ვიღაცა ყოველთვის იწვა. (მუსიკა წყდება სირჩა ტუჩებთან მიაქვს) მისმინე...ა ბაწიუშკა?

გულფია

--და მოვIდეს, რა. იმასაც მოვიპატიჟებთ.(იცინიან)

ჯენეტო

-- მე ბაწიუშკა ვთქვი, ცაცა ვიფიქრე. (გადაჰკრავენ) ოჰ... წოწია ლენა, წოწია ლენა, აი... შეხედე, ცრემლები წამომივიდა.

გულვია

-- ხო, რაც მასწავლა დედაჩემმა-- ვიშლიოვკა. უფრო სწორად , რაც ვისწავლე...(არიის ღიღინს აგრძელებს)

ჯენეტო

--და ის რას შვრება? ის--სკრიპაჩ ნა კრიშე? (იცინიან)

გულდფია

--მივალ , ერთი შევხედავ (გულფია სააბაზანოსკენ მიდის)

გულფია (ბრუნდება)

-- ო, გადაყუდებულია აბაზანაში. შევიხედე... რაც დავინახე, მარტო ის დავინახე.

ჯენეტო

-- სერიოზული შემსრულებელი. (იცინიან) ი,კაკ?

გულფია

--სლუშაი…(ჭიქებს ავსებს) ზაკუსი. რა გაჭამა იმ ბეზდარმა. შპროტი ატვერგაეშ? რა მოიტანა ამისთანა? (ჯენეტო იცინის) დააასხი, რას უყურებ. სანამ გიჟი მოვიდა-- ძმიტრიი... ოხ, რა ნიუკლიუჟიი კაცი იყო.ოხ...შენ კიდე არც იცი. ჩვენ ხო ერთად ვცხოვრობდით რამდენი ხანი, სანამ მე მომცეს ისა--ჭავაჭავაძის ბინა. მგონი ძმიტრიიმ ჩააწყო- ოღონდ აქ არა ვყოფილიყავი...კანცენტრაციიუ წირიალ.(იცინიან) საწყალი, ცარსტვო იმუ ნებესნოე...(ჯენეტო მოსვამს) ააა, სიბია ბირიჟოშ, ზნოინაია სკრიპაჩკა?

ჯენეტო

--ეხლა თურქეთის პრეზიდენტი ჩამოვა, პიონერთსასახლეში უნდა დავუკრათ...

გულფია

-- ნადო ტუდა ვზიაც ნაშევა სანტეხნიკა...(იცინიან) ვალერიანა. მხრები, გაშლილი. დგას, როგორც ბერიას ახრანა...გახსოვს?

ჯენეტო

-- მი ტაგდა ვ კაზახსტანე ჟილი...

გულფია

--ხო,ხო... მხეცები. ა ონ ძაძე, სკაზალ, გენერალურზე, რო ფლეიტას შეგთხრი უკანიდან. ხმა არ არის სწორი. ვითომ ეხლა ესმოდა რამე. მარა, ბერია...

ჯენეტო

-- ბედნიი ძაძა მიშა...

გულფია

--ოხ, სხვა რამეს ვლაპარაკობთ... მიდი,პეი.(თვითონ გადაკრავს.ჯენეტოც)

ჯენეტო

-- იმიტომაც ცაცას ესმის ხმები. შენ არ ასვენებ და ღელავს.

გულფია

--დავასვენებ. ცაცას მივასწრებ,იმ ქვაბებში. ა ზნაეშ, ია ნე ვერიუ.რო ქვაბებში...

ჯენეტო (ხელს აიქნევს)

-- იჰ, მაიცა ერთი.

გულფია

- ოხ, როგორი სოლალეკელი ხაარ... ნახე, როგორ ხელით-„მაიცა!“ (გამოაჯავრებს)

ჯენეტო

-- სადღა სოლალაკი. (ისმის კარზე კაკუნი) ეხლა კი უკვე მოვიდა ბაწიუშკა და ცაცა...

გულფია (დგება)

-- გასაღები აქვს.

ჯენეტო

--ან ძმიტრიი გაუღებს. (იცინიან. გულფია გადის. ისმის კარის ხმა)

გულფიას ხმა

-- კი. არ ვიცი, იქ ზის აბაზანაში, აჩხაკუნებს. მოდი ვენერა,მოდი..

(შემოდიან გულფია და ვენერა. ვენერას კვლავ გასაღებების ასხმა უჭირავს ხელში და პალტოც ისევ მოხურული აქვს)

ვენერა

--ჰა, რას ამბობს?

გულფია

--რა ვიცი. არაფერ..

ჯენეტი

--ამბობს სკრიპკაზე ვუკრავდი და შორს იყო- დავანებეო.

გულფია

-- კარგი ბიჭია, კარგი, კაცურად აგებული.

ვენერა

-- მაგის კაცობა თავისთვის შეინახოს... ჩემთან შეიძლება ტრუბა შეიქნეს გამოსაცვლელი და წყალი დავკეტოთ.

გულფია

--ანუ, შენგან ჩადიოდა?

ვენერა

-- ბოდავენ რაღაცას. მგონი უნდათ, ფული წამართვან. დაველოდები , სანამ ჟულვერი მოვა. გულფია (ჯენეტოს)

--- ქმარია. ჟილ ბლას. ფუ, ჟდულ ვერნ.

ვენერა

--ხო და ეგ მაინტერესებს , რას ხლაფორთობს აქ, თუ იქაა... მთელს სიმაღლეზე უნდა ავყვეთო. სტაიაკი ძალიან ძველიაო. შენ, ელაპარაკე?

გულფია

--მე?...მე მაგათ არ ველაპარაკები. კლუჩებიან ხალხს. ჩემ კუხნდადან ტუშონნი კომბოსტოს და ტომატის სუნი არ გამოდის. დაჟე, როცა მაგის მეტი არაფერი მაქვს. ყავას არ დალევ?

ვენერა (როგორც იდიოტს, ისე უყურებს)

-- რა მეყავება, გულო...დავრბივარ აღმა- დაღმა.შევხედო, ერთი რა შვება ის ბიჭი.

გულფია

-- ხო,ხო... იქ არი, სადაც დასტოვე (ვენერა სუფრას მოათვალიერებს და გადის)

-- ხედავ? (ჯანეტს უყურებს) -- გულო! გულო... სიჩას უნას ბილა სლუჟანკა. ვიძიშ. და, ვისთან. შენ მაგის ქმარის შარვალი ნახე და ქამარი...

ჯენეტო

--ჟიულ ვერნ. ვერ გაიგე-რას თქვა?-- თურმე მაგასთან ყოფილა ტრუბა გამოსაცვლელი, და, აქ რა უნდა? მაინც ჩალიჩობს, რომ იქნებ შენ შემოგაწეროს.

გულფია

--ეს ბიჭი ისეთი მაგარი ვინმეა, ტყუილუბრალოდ მე ვერაფერს შემომაწერს. წავიდნენ და ვენერას უცვალონ ტრუბები- უ მენია ვსიო ჩისტო, ვსიო სუხო.. დიიიიახ.. (ბორბლებიან მაგიდასთან მიდის, შპროტს კუდით იღებს და ზემოდან ჩაიშვებს პირში) ვოტ ტაკ... იცი საიდან ვიცი ასე თევზის გადაყლაპვა?... ტი ზნაიშ "დუხან გალუბოი"?

ჯენეტო

-- ჯერ მანდ არ დამიკვრია. ეგრე არ მოვკვდი...

გულფია

--არააა. ადრე, სლუშაი... აი, ვარ. მნე პრემიიუ დალი. აი,ხო გახსოვს,ნუ შიისიატ ჩიწვჲორტიი და მორჩა სპეკტაკლი. ვზივარ, ვიწმენდ. და ხო გახსოვს კარიდორის შავი ტელეფონი იქა და არფენიკა ამბობს--გეძახიან ტელეფონზე. იქა! ვინ გაბედავდა. ვიფიქრე, ვახტანგია? მარა ვახტანგი იქ იყო. მივედი, ამბობს--''შენ ხარ, ფლორია?''

''მე ვარ''--ვეუბნები. –''მე ვარ ერთი კაცი, რომელსაც იცნობ და მინდა განახო ნამდვილი ტბილისი რაც დარჩა. ნუ, მე უკვე იმის მერე არაფერი აღარ მიმიღია. უკვე ყველაფერი ვარ. მე ვუთხარი- ვინ ხართ? და მეუბნება -- ''ვტაროი რიად, როზი.'' და ვიცი ვინც არი, ოღონც სახელი არ ვიცი. სულ იქ ზის და არ ვეუბნები, მე ნამუშავარი ვარ. გარეთ ვახტანგი იცდის და ის

ამბობს-- ‘’გარეთ იცდის მანქანა. მარტო თქვენი დასაჯდომია და დანარჩენი ყვავილები’’. ბოჟე...

ჯენეტო

--ოი, გამახსენდა...

 გულფია

-ამან გულოო, ტი სლიშალა?

ჯენეტო

-- ის ყვავილები ჩემთან იდგა, რამდენი ხანი.

გულფია (იცინის)

 --ხო...და ვიფიქრე, უნდა წავიდე. დაღლილი. ჯობია რაღაცა, ვიდრემ რუტინა, რომ მივედით სახლში, ჩაი დავლიეთ, დავწექით და მოვიშორე ესა, სახე. ჩავიცვი, გამოვედი, ვახტანგს ვეუბნები -- ''მჟავანაძე ზავდოტ''.

რაც მე იმ მჟავანაძემ მიშველა ასეთ დროს, როგორ მოხვდება ჯოჯოხეთში.

 ჯენეტო

---ქვაბებში არა, ახლოს... მარა,არა მთავარ ქვაბებში...(იცინიან)

გულფია

--დავჯექი, მართლა სულ ყვავილები. ვიჯექი -ვარდები გავწიე,რო ეკლები.. (იცინიან) მიდის ეს მანქანა, მიდის...მივედით ბოლოს გალუბოი დუხან.კუპე, არღანი, ვსე ეწი ძელცი...ეს კაცი.

ჯენეტო

--ეხლა ნუ გამაშტერე... ნიკო იყო,ხო?

 გულფია

--დიახ.

ჯენეტო

--მახსოვდა კაცო...სუხუმში რო მიყავდი, ჟენტლმენურად.(იცინის) გიტყუებდა.

გულფია (სამი თითის კომბინაციას დაანახებს)

--- აი,ეს. წავყევი...მარა, აი, ხო ხედავ,რაზე მოვყევი?..ხო, იქ იყო ერთი კინტო კაცი, თევზს ასე იგდებდა პირში (აჩვენებს. იცინიან) ეს ქალი კიდე აქ არი?

(გადის. ჯენეტო ისევ დაასხამს ნაყენს ორ ჭიქაში) --ნუ, მთავარია წყალი არ დაკეტონ დღეს.ჩვენ მღვდელს ველოდებით...მამა ვინსენტის, ნუ... სევა სტის ვენერა

(დერეფნიდან ვენერას ხმა მოისმის)

-- ამოვალ კიდე ხო, გულო. ალბათ მაინც დასაკეტი იქნება. თქვენი მილი ნახე, ხო? მოჟონავს

გულფია (მალევე ბრუნდება)

ვენერა

--ახლა გამოჟონაო, ამბობს ბიჭი , მაგრამ საშიში არ არისო . გამოვაჩინე ნაკლოვანებაო. (ისმის კარის მიკეტვის ხმა) -- გაიგონე?იცი რა..აი, რო ამბობენ რო ქართველ კაცებს სულ განზე ყავთ ქალი. აი, ამის ჟულვერა არ ვიცი, მოჟეტ იმუ ზა შჩასწდე , მარა ეს ხალათი რა არი... ხალათი და პალტო.ეს რა არი, ქალი არა ხარ?-- ჟენშჩინა ვ პალტო.. ერთი კინო ვნახე, როდის...რო იიო იზნასილოვალ ეტოტ, ნუ კრასავეცი როა..

ჯენეტო

--ტანცი ვ პარიჟე...უჟას.

გულფია

-- ხო... პასლედნიი ტანეც ვ პარიჟე... სხვა მე არ მინახია, რო ქალი, პალტოში თან, დაინახე ამისი პალტო? და ჩუსტები და მიდის და უკნიდან უდგება ამ ბიჭს და ამოწმებს...რო ის ვერ ხედავს. ნუ, ეს ქალი არ არი. არც იყო არასდროს. (კედელზე აფიშას გადახედავს)

ჯენეტო

-ა, ია ნალილა.

გულფია

-- ა გემრანა ვსე ნეტ! (მაგიდასთან მივა, გრაფინს აიღებს, მესამე ჭიქაში დაასხამს) ვალერი!.. .(იძახის მახვილით ი-ზე) ვალერიი... (ოთახიდან გადის) ვალერიი...

(ჯენეტო ვიოლინოს და ხემს იღებს, თითქოს დასაკრავად ემზადება. შემოდიან გულფია და ვალერი. გულფია ხელჩაკიდებულს მოათრევს ვალერის)

--უნდა დაისვენო... აბა, გვითხარი ეხლა... ჩვენგან არის დენადობა?

ჯენეტო

--ნუ...ზაკაზივაი, როტმისტრ!

ვალერი (ჯენეტოს ნათქვამს ვერ ხვდება)

-- თქვენი მილი, თუ გავხსენი.არ მინდა გახსნა. ერთი მოვფხიკე და ჟონავს... როგორცა ვხვდები, წყალი მაინც დასაკეტი იქნება.მაშინ გავხსნი. თქვენთან, აი, აბაზანის გარშემო გროვდება. იქედან აქ წეჩკა, თუ აქ. (გულფია გაკვირვებულ მზერას სტყორცნის) აი, მე რო ვიყო,მეტლახს ავყრიდი, დაუგებდი გაუმტარს და მერე დავაგებდი. გამოფხეკილი მაქ და მივხედავ, ქალბატონო, თუ შეიძლება (ვალერი აბაზანისკენ მიიწევს)

გულფია (სირჩას იღებს მაგიდიდან ვალერის უწვდის აღტაცებული სახით)-
--ჯერ აბა, დალოცე ოჯახი...რო, აი როცა მოხვალ ყოველთვის დაგხვდეთ. (ვალერის სირჩას აჩეჩებს)

ვალერი

--ღმერთმა კარგად და ჯანმრთელად გამყოფოთ, ქალბატონო. მე ელიაზე გაზდილი კაცი ვარ, ხალხსაცა ვცნობ და პატივისცემაც ვიცი...(გადაკრავს)

გულფია

--ბრავო, ბრავო..(ვალერის ჭიქას ჩამორთმევს, დადგამს) ყოჩაღი ბიჭი... (თავის სირჩას იღებს, ჯენეტოსკენ იშვერს) და გაუშვი ხელი მაგ სკრიპკას

(ჯენეტო სირჩას იღებს და უჭახუნებენ. გულფია გადაკრავს)

-- ო,ჰო,ჰო,ჰო,ჰო... ზოგჯერ ცხოვრება, რა მშვენიერი იყო...

გულფია

-- ხო. იყო...შენ არ შეგვისრულებ რამეს, ვალერი?

ვალერი (იღიმება. ხელებს შლის)

--რაღა მახსოვს, ქალბატონო...

გულფია (ლოყაზე უთათუნებს ხელს)

-- გაიხსენებ, გაიხსენებ... პატარა. მესამე მუსიკალური ხუმრობა არ არის... ნიკაკ... (უცებ გახედავს ჩიო-ჩიო სანის აფიშას) ეს თუ იცი-- ვინ არის, შენ, ვალერი? ვალერი (აფიშას ყურადღებით ათვალიერებს)

-- რა ვიცი,ქალბატონო...მაგ ადგილების მარტო ბრუს ლი ვიცი...

ჯენეტო (იცინის)

--- ოი, არ შემიძლია...

გულფია

-რა?

ჯენეტო

--ბრუს ლი. იცი ვინ არი . აი. ეს (ხელებით აკეთებს) კარატე...ისა..შმარატე..
გულფია (ისევ ვალერის მიუბრუნდება)

-- და ეს, ვინ არი?

(ვალერი მხრებს იჩეჩავა)

გულფია (მაცდური ღიმილით)

-- მოგწონს ეს?

ვალერი

-- უცხოა, რა...აი, სხვანაირი.

გულფია (მაგიდასთან მიირბენს გრაფინს იღებს, ვალერის უსხამს და სირჩას აწვდის)

---აბა, გადაჰკარი და, თუ გამოიცნობ,ვინ არი?

ვალერი (ოთახის კარისკენ იყურება)

-- ტაშტი არ გაიმსოს...ამ ოჯახს დავლოცავ...(გადაკრავს)

გულფია

--აბა, ვინ არი? (მხარზე ხელს ადებს. ვალერი დაფიქრებით შესცქერის პლაკატს. ჯენეტო წამოდგება, ვიოლინოს მოირგებს ყელზე, იწყებს შოპენის პრელუდია ე-მინორში (ოპ. 28 ნო.4) შესრულებას. პლაკატთან გაჩერებულებს უახლოვდება. გულფია ტუჩებით კოცნას უგზავნის

ჯენეტოს, ჯენეტო ორივე თვალს ჩაუკრავს. შესრულებას აგრძელებს. ვალერი ჯენეტოს გამოხედავს, უყურებს, მერე ისევ პლაკატს)

ვალერი (ხმადაბლა გულფიას)

--- ესა,თქვენ ხართ... როლში? (გულფია ძლივს შესამჩნევად უქნევს თავს და ტუჩებზე მიიდებს თითს, უსმინეო. ჯენეტო დაკვრას აგრძელებს. გულფიას მაგიდასთან მიჰყავს ვალერი და დივანზე სვამს. თითით ანიშნებს საჭმელზე)

(ისმის კარის საკეტის ხმა. კარი იღება და იხურება. ჯენეტო შესრულებას წყვეტს)

ჯენეტო

-- ბაწიუშკა.

(გულფია ჰოლისკენ მიდის. ვალერი დგება. ოთახში შემოდიან ცაცა და ნეჟინა. ცაცას პალტო აცვია, თავზე პირბადეაწეული, ქუდი ახურავს. ნეჟინა დაბალი და მსუქანია. გრძელ შავ კაბაშია. თავზე შავი თავსაფარი აქვს შემოხვეული მონაზვნურად და უსახელო შავი ჟილეტი აცვია)

გულფია

-- მობრძანდით...

(ნეჟინა მდუმარედ დაუკრავს თავს)

ცაცა

-- დაბრძანდით, დაბრძანდით, არ გაიხდით? ჯენი, გამარჯობა...

(ნეჟინა მაგიდისკენ მიდის. გზად პიანინოსთან შეჩერდება. ზედ დალაგებულ ხატებს დააკვირდება. რაღაცას ბუტბუტებს.

ჯენეტო ვიოლინოს ყუთში დებს, ყელიდან იხნის სამაგრს, ხემსაც ყუთზე დებს).

ვალერი

--მე მივხედავ, რა, ქალბატონო... და ამოვალ. თქვენ ტილოები რამე შეიძლება დაჭირდეს, იქ შევუდგი და (ვალერი გადის, ცაცა თვალს აყოლებს)..მაინც რა, რო არ მოსველდეს.

ცაცა

--ეს ვინ არის?

  გულფია

--არა მკითხო...კორნელიმ მოიყვანა ბრიგადა. წყალი უნდა დაკეტონ. და ბაწიუშკა მოვიდა?

ცაცა

 --არა. არ იყო ის. ავად გამხდარა. გაცივდაო.

  გულფია (ნეჟინას გადახედავს)

--დაა?

 ცაცა

-ეს არის ქალბატონი ნეჟინა...ნეჟინა, ეს ჩემი დაა-გულდა.

(თავს უკრავენ ერთმანეთს)--მოიცა, გავიხადო..

    (ცაცა გადის. ნეჟინა სავარძელში ჯდება მდუმარედ)

გულფია

-- თქვენ მამაოს...მამაოს ისა ხართ? რა ქვიან- მონაზონი? (ნეჟინა თავს გააქნევს უხმოდ. უცებ წამოდგება და აფიშასთან მიდის. უყურებს. მერე გულფიას გამოხედავს, გულფია გაუღიმებს. ნეჟინა ისევ დაჯდება)

 ნეჟინა

-- ამ ოჯახში არის მიცვალებულის ნათესაობის ნივთები?

გულფია (დაბნეულია)

-- მიცვალებულის?

 ნეჟინა

-- ოჯახის უფროსი. ვინც ვერ გასვენებთ, იმისი ახლობლების პრედმეტები არის, აქ?

გულფია (ოთახს მოათვალიერებს)

-- რა ვიცი, არის...

ჯენეტო

--კი,კი...

(ცაცა საძინებელ ოთახში ტანსაცმელს იცვლის, სარკეში წარბებს ისწორებს და ოთახიდან გამოსვლისას, სააბაზანოსკენ ცნობისმოყვარედ იყურება . შედის სააბაზანოში, საიდანაც მაშინვე აღელვებული გამოდის)

ცაცა

-- რა ხდება აბაზანაში? წყალი გამოდის და მიდგმული აქვს ტაშტი, გაივსო ის ტაშტი... ეს ბიჭი ტრუბებსა ჩიჩქნის და იქედან გამოდის...

გულფია

--ვალერი ვსე სძელაეტ. მე რა ვიცი, რა ხდება. ბრიგადა მოვიდა.

ჯენეტო

--მოვიდა, ხო...მესამე მუსიკალურში...

(ცაცა სუფრას და სირჩებს მოავლებს თვალს)

ცაცა

--რა მესამე მუსიკალურში, ჯენო?

ჯენეტო

--სანტეხნიკი დადიოდა, ვიოლინის კლასში.

ცაცა

--ბოჟე მოი... და რამე არ უნდა ვქნათ?..

ჯენეტო

--ნუ, აკეთებენ. მანდაც , მეზობლებთანაც...

ცაცა

--და რაო? ..რომელ მეზობელთანაა..

გულფია

--ვენერა..

ცაცა

--ვანერასთან?..აა მაგან გადაწყვიტა ხო ჩვენი მილების შეკეთება, უფ, და შენ რა გგონია, ეს სანტეხნიკი რატო მოგვიყვანა ეხლა აქ? --თვითონ არ უნდა გაკეთება..მაგას სულ ეგრე..გახსოვს?-- -შარშანაც ეგრე გვიყო..ბოჟე რა გვეშველება?

გულფია (ავად წაიჩურჩულებს)

--ძმიტრიი გვიშველიდა..

ცაცა (გულფიას გამოხედავს)

-- რა ხდება?

გულფია

--არაფერი...ჯენეტო მოვიდა და არაფერი.

ნეჟინა

-- დანა და ძაფი... (ჯენეტო და გულფია გაოცებული უყურებენ)

(ცაცა ფართხაფურთხით გადის ოთახიდან და შემოაქვს დანა და ძაფის კოჭა. გულფია და ჯენეტო უყურებენ. ნეჟინა ძაფს თითებზე იხვევს, კოჭას ხელში დაიჭერს, დანას აიღებს. წამოდგება და ოთახში დადის დანამოღერებული, თითქოს რაღაცას უსმენსო. დანა რაღაც საგნებთან, ავეჯთან და კედლებთან მიაქვს, მაგრამ არ ეხება. ისმის კარზე კაკუნი. ნეჟინა იმედგაცრუებული დაუშვებს დანას)

ნეჟინა

--სიჩუმე იყვეს.

გულფია

--ხელოსანია

(გადის, კარის გაღების ხმა ისმის. ნეჟინა კვლავ ამართავს დანას და ძაფით დაბლანდულ თითებს დახედავს, ძაფებს დანას დაუსვამს, ცდილობს ჩაჭრას. ძაფის ზოგიერთი ბმული იჭრება, ზოგიერთი არა. შემოდის გულფია, ნეჟინა კვლავ ჩამოუსვამს დანას ძაფებს

ნეჟინა

--ეს დანა ხორცზე გიხმარია?

ცაცა

-- რა ვიცი, კი... კი ალბათ.

გულფია

- მი ვეგეტარიანცი, ვაფშეტა. მე ხორცს არა ვჭამ.

ნეჟინა (მის ნათქვამს ყურადღებას არ აქცევს. დანას უყურებს)

--- არ მიშვებს. აი, ხედამ, ძაფები ზოგი გაიჭრა, ზოგი არა. არ მიშვებს. აქ უნდა რო იყოს.

გულფია

--ვინა კაცო?...

ცაცა

-- გაჩუმდი... არ შეგიძლია? ნი ვსტრივაი... შენი სისულელით.

გულფია

--ჰმ.. (წავა და დემონსტრაციულად ჩაჯდება სავარძელში. მრავალმნიშვნელოვნად გახედავს ჯენეტოს, რომელიც ასევე გაჩუმებული ზის. თავს გააქნევს) ---ა გძე ბაწიუშკა?

ცაცა

--არ შეგიძლია, რო ჩაიკმენდო ეგ ხმა?

ნეჟინა

-ეხლა ვერ ვიგებ.. დანა თუ ხორცზე არ არი ნახმარი, იმასაც არ უშვებს, თუ ხორცზე ნახმარია, და არ უშვებს, ზნაჩიტ ის არ უშვებს. უნდა იხმარო ხორცზე... აბა, იხმარე...

ცაცა

-- ვიხმარო?

ნეჟინა

-- ხო იხმარე, დაისევი ხელზე... დაისევი (დანას უწვდის. ცაცა გაუბედავად გამოართმევს) დაისევი პატარაზე, რო სისხლი გამოვიდეს, რო ვიცოდეთ, რო ხორცზეა ნახმარი. მაინც, რაღა...(ცაცა გაუბედავად ართმევს დანას) დაისევი პატარაზე, რო გაისეროს. კაი დანაა...კაი დანა, კაი.

გულფია (წამოხტება)

--ჩტო ზა იდიოტიზმ... (ცაცას მივარდება და დანას გამოგლეჯს და ნეჟინას მიაჩეჩებს) ნახმარია ხორცზეც და ყველაფერზე...

ნეჟინა (ეჭვით დახედავს დანას)

-- შენ გიხმარია?

ჯენეტო

-- უხმარია, ჩემი თვალების წინ...

ნეჟინა (ხელზე დახვეულ ძაფებს დახედავს)

-- აი,უყურე, აქ არ მიშვებს . არ უნდა რო- მე აქ ვარ და არ დამანახვა არაფერი ამ ოთახში.

ჯენეტო

--და, რა უნდა

ნეჟინა

--მაგას უნდა, რო... მეენატრა ვინმე ამ ბინაში. მიტომ ვერ ისვენებს. ვინც მეენატრა, იმის პრედმეტზე მიდის დანა. პრედმეტი ვიცოდეთ, მერე თავისით ხდება...

(ცაცა, ჯენეტო და გულფია დამფრთხალები უყურებენ)

ნეჟინა (ჩაფიქრდება)

--სპალნა-საწოლი საითა გაქვთ?

ცაცა

-- იქით...

ნეჟინა

-- მიმიყვანე და აქ იყავით აბა, ეგებთ უფრო დავინახო...

ცაცა (ნეჟინას მიუძღვის)

-- აქეთ, მობრძანდით...(ქალები გადიან)

გულფია (ჯენეტოს ნიშნისმოგებით გამოხედავს)

--- ხედავ? ტი ვიძელა?

ჯენეტო (თავს უქნევს. წამოდგება)

--წავიდე, რა ვქნა?

გულფია

--ეხლა ამას არ შემატოვო? ვიღაცა თავისნაირი გიჟი მოიყვანა.ვინაა, კალდუნია?

(ნეჟინა საძინებელ ოთახში დანამომარჯვებული წრიულად დადის, იდუმალი გამომეტყველებით, ხან ერთ საწოლთან ჩერდება და ხან მეორეთან. კარებთან ახლოს ცაცა დგას და ქალს შეშინებული უყურებს, ცალი ხელი ლოყაზე აქვს მიფარებული . ნეჟინა ბოლოს გარდერობთან ჩერდება და იქ თითქოს ყურს უგდებს რაღაცას.)

ნეჟინა

--თქვენ მიცვალებულს რა ჰქვია?

ცაცა (გაუბედავად)

-- ძმიტრი

ნეჟინა

-- იმისი ტანსაცმელი გაქვთ აქა? (გარდერობს უთითებს). იმისი ტანსაცმელი მჭირდება..

ცაცა

--აარ ვიცი,.. ეხლავე..მგონი ჩემმა დამ გაიტანა..აბა ე რთი ვნახო..(ცაცა გარდერობს აღებს და საკიდებ მისწევს მოსწევს

ჯენეტო

--მე მეგონა ეკლესიაში რო ქალებია, ის და მღვდელიც უკან მოდის...

გულფია

--მეც მაგრე მეგონა...

ცაცა (აღელვებული შემოდის)

--ძმიტრიის ტანსაცმელი მოითხოვა. რამე... კოსტუმი გამოვუღე...გალსტუკები სად იყო? ვერა ვნახე სიჩქარეში...ხო, არ გადააგდე ის პარკი?

გულფია (კითხვა ვითომ არც გაუგონიაო)

-- ეს ვინ არი, ცაცულია? ბაწიუშკამ გამოგაყოლა?

ცაცა

-- ნეეე...შტო ტი. მივედი. ეს მამა იაკინთე, რომელიც შეპირებული იყო, სულ ვერ მოვიდა, ავათ არისო...სადაა ძმიტრის რამეები, სად წაიღე—იქ არაფერი აღარაა.

გულფია

--ჩულანში დავდე, შენ ჩაიცვამდი თუ მე?გარდერობში რად გვინდოდა ტყუილა?--ადგილს იკავებდა..

(ცაცა გასვლას აპირებს)

გულფია

-- მოიცა ერთი წუთი, მაინტერესებს--ა ანა ქტო?

ცაცა

-- იქ რო გამოვედი, ძალიან მეწყინა, რო ვერა ვნახე და ერთი ქალი მომადგა. ეკლესიის ქალები როა, დადიან იქა...ასეთი, მშრომელი ქალები...

გულფია

--ხო, გასაგებია... ი?

ცაცა

-- ხოდა, მე ვუთხარი, რო სახლი უნდა ვაკურთხებინო და არ დამხვდა. და კიდევ კარგი არ დაგხვდაო. მაქამდი სხვა უნდა ქნაო.. ვოტ ტაკ...

გულფია

-- რატომ?

ცაცა

--ნუ,მე მოვუყევი, რომ ალბათ სული სახლში... და ძმიტრიიზე მოვუყევი...

გულფია

--ბოჟე... რა ბეკეკა ხარ.ასე ქუჩაში...

ცაცა

-- ქუჩაში არა. ეკლესიაში.. ვა დვარე ცერკვი...(ცაცა გადის)

ჯენეტო

-- ხო, არის ხოლმე ქალები იქ. ალაგებენ, მსუქანი ქალები...

გულფია

--გავგიჟდები, ვინ მოიყვანა სახლში..კალდუნია,დადის დანით, აქეთ იქით იქნევს-- ვინმე არ დაჭრას.. ვიდელა?-მე რომ არა, ეხლა ცაცას ხელები დაჭრილი ექნებოდა. ამის მარტო დატოვება როგორ შეიძლება—ბეკეკაა ნამდვილი...

ჯანეტი

--აბა?.. რას გადაარჩინე? შემეშინდა იცი?..

(შემოდის ცაცა მოზრდილი პარკით ხელში, იქვე დებს და შიგ იყურება, ხელით ურევს, სინჯავს)

ცაცა

--ხოდა, ამ ქალმა მითხრა, ოცი ლარათ, მოვა ქალი და ნახავს. მლოცველი ქალია-- ნეჟინა. დავურეკეთ იქიდანვე, ეკლესიის ტელეფონი იყო, შევიდა დაურეკა... ამ ნეჟინა, თქვა, ვერ გამოვალ, შორია. ნუ, მე ავიყვანე ტაქსი, წავედი ნავთლუხში და მოვიყვანე.

(ცაცა პარკიდან კაცის კოსტუმს იღებს და ათვალიერებს, ასწორებს)

ჯენეტო

--- ტი ვ ნავტლუხ იეზძილა?

ცაცა

--აბა რა მექნა, თავისით არ მოვიდა. თურმე ასე დაყავთ..

გულფია

-- ტი მინია უბდოშ და მერე ჩემი დუხიც დაემატება ძმიტრიის დუხს და იქნები ბედნიერი...

ცაცა

-- რატომ ამბობ ასე?ეს ცნობილი ქალია...

გულფია

--და ანა აფირისტკა, ნი ვიძიშ?-- ოცი ლარი..ტაქსი. ალბათ საჭმელებსაც გათქვლეფს...

ცაცა

--ოჰ, როგორ ყველას...სხვისი გაჭირვება არ გაინტერესებს...

(ცაცა კოსტუმით ხელში საძინებლისკენ გადის)

გულფია

--მე არ მაინტერესებს?

(ცაცა ოთახში ბრუნდება)

ჯენეტო

-- მისმინე და მარტო რასა შვრება სპალნაში?

ცაცა

--არ ვიცი ჯენი, არ ვიცი. რო ვიცოდე, რასა შვრება-- მე თითონ ვიზამდი...

ჯენეტო

--იცი რა, არი, გრეშნიმ ძელამ, რამე ხელს არ გააცოცოს.

გულფია

--შენ ეგა თქვი...

ცაცა

--წესიერი ქალია.წესიერია, ანა პამაგაეტ ლდუძდამ. იმ წუთას მითხრა-'' მე ვუშველი მაგას, გამყავს... დავაწყნარებო''..

ვალერი (ოთახში შემოიხედავს მღელვარედ)

- ქალბატონო! ტილოები მეტი უნდა! დაუგეთ, დაუგეთ და მე გავიქეცი, წყალი უნდა ჩავაკეტინო....

გულფია

--რა ხდება?

ვალერი

--მივაგენი...

(გულფია მივარდება კარადას და ქვედა უჯრიდან პირახოცებს და ნაჭრებს გამოიღებს)

-კაკაოი ტი მალაძეც..

(გულფია სააბაზანოსკენ გადის. ისმის კარის დაკეტვის ხმა)

--ვაიმე, ვაიმე...რა წყალი.. დროზე, დაკეტონ, დროზე... რა უქნია ამ ბიჭს...

(ცაცა წამოდგება და ჰოლისკენ გარბის, ჯენეტოც უკან მიჰყვება.

დერეფნიდან ისმის მათი ხმები)

--ოჰ, ოჰ, რა ამბავია... დედა, რამდენი მოდის! გოგო და, ასე შეიძლება?.. დავაი, პალაწენცა, ჩქარა-- რო დავაშროთ!

(ოთახში შემოდის ნეჟინა. შეძახილებს ყურადღებას არ აქცევს. ხელში საკიდზე დაკიდებული მამაკაცის 50-იანი წლების კოსტუმი უჭირავს, მაღლა აღმართული, მეორე ხელზე ისევ ძაფები აქვს დახვეული და იმავე ხელში დანა უჭირავს. დანას უღერებს გარემოს)

ნეჟინა

--ხაზეიკა...ხაზეიკა...

ცაცა (შემოდის. სველია)

-- ხო,ძვირფასო...

ნეჯინა

-- აქეთ, მოდი...

ცაცა (მოწაფესავით დაუდგება წინ)—

--ხო.. წყალი გადის და...

გულფია (ხმა დერეფნიდან მოისმის)

-- რას გახვრიტა და გამოანგრია, ყოფილიყო თავისითვის. კამუ ეტა ტრუბა მეშალა?

ჯენეტო

-- აჰა..იკლებს, გოგო,იკლებს... დაკეტეს ეტყობა...

გულფია

--ჯანდაბა, დაკეტეს (შემოდის სველი. უკან ჯენეტო მოჰყვება)

ჯენეტო

-- დაკეტეს, ხო. ვსე აღარ მოდის. ეხლა მიხედავენ...

გულფია

--ჯანდაბა...

(ნეჟინა გამჭოლად უყურებს გულფიას. კოსტუმს აღმართავს და ოთახში დადის კოსტუმით და დანამომარჯვებული)

გულფია

-- ილდა რეპინ--''კრდოსნიი ხოდ ვ კურსკოი გუბერნიი''...ოჰ. ცაცა, ცაცა.

(ჯენეტო ჩაიფხუკუნებს, ნეჟინა უცებ შედგება. კოსტუმს უწვდის ცაცას. ცაცა ფრთხილად ჩამოართმევს)

-- სპალნაში ორ კრავატი რათა დევს?

ცაცა

--ორნი ვწევართ..

ნეჯინა

- ორნი ვინა...

ცაცა

--მე და ჩემი და.. (გულფიას გადახედავს შემფრთხალი)

გულფია

--ვისილიაიწე? (ის და ჯენეტო გაიღიმებენ)

ნეჯინა

--ცალცალკე რათ არი. ერთი კრავატი ერთ კედელთან, მეორე -- მეორესთან...

ცაცა

--რა ვიცი, ორნი ვწევართ და...

ნეჯინა

--სამნი წევხართ.

ცაცა

--სამნი?

ნეჟინა

-ორნი წევხართ და მესამე შემომატებულია. ამაზე ღელამს ის კაცი. იწეწება შუაზე.

გულფია

--ჰმ...(ცაცას) აქ გადმოვწვე? მარტო გინდა ყოფნა? (ცაცა დაბნეული და შეშინებული უყურებს ნეჟინას)-თუ, ძმიტრიის არ სიამოვნებს, თუ რა ბოდვა მოაწყვე აქა? ს უმა საიწი...

ნეჟინა

--ენატრება და ვერა სწვდება...ხედამს...წვალობს. ცოდოა, რა ცოდოა...

ცაცა

--ჩვენ... ჩვენ.... რა ვქნათ?

ნეჟინა

-- უნდა, გავაშოროთ, რაც ენატრება... არ გვაჩვენებს...

(ნეჟინა ოთახში სირბილს იწყებს. სამივენი დამფრთხალნი აქეთ-იქით აწყდებიან. ყველაფერი ზრიალებს)

ნეჟინა

-- მიაქს დანა, მიაქს, მიაქს... დასთანხმდა!!! დამანახე, დამანახე, დამანახე!!!

(საიდანღაც კაკუნის ხმა იწყება და არ ჩერდება. ქალები ერთმანეთს შეშინებულები უყურებენ)

(ნეჟინა გაქანდება და პლაკატს ჩაარჭობს დანას. ბევრჯერ ურტყამს, ისტერიულად, კივილით. კაკუნი ჩქარდება და ძლიერდება. გულფია შეკივლებს, ცაცა ჩაიკეცება, კაკუნი წყდება.

ჯენეტომ არ იცის რა ქნას, ცაცას ეცემა, ასულიერებს. გულფიაც ცაცას მივარდება. ცაცა თვალებს ახელს)

ცაცა

--არაფერი, არაფერი...

ნეჟინა (კვლავ გამწარებით სცემს დანას პლაკატს, ნაფლეთებად აქცევს. კივის)-- ეყოფა! ეყოფა!!! გამაჩერეთ, გამაჩერეთ!

(სამივე ნეჟინას ეტაკება, აკავებენ, ბოლოს დანას ხელიდან გააგდებს და მოწყვეტით ჩაჯდება კედელთან. მძიმედ სუნთქავს, ოფლი ასხამს. ნელ-ნელა წყნარდება. მერე ხელიდან ძაფებს იძრობს და ცაცას უწვდის. ცაცა ართმევს)

ჯენეტო

--კაპლი..კაპლი გვინდა.

გულფია (ძლივას ამოღეღავს)

-- კუხნაშია. ნახე, რა...პირდაპირა დევს...

(ჯენეტო გადის, მაშინვე მოისმის მისი ხმა)

-- აჰ, რა უქნეს ამ აბაზანას!

ნეჟინა (ხელს უწვდის ცაცას)

--- ამაყენე ერთი.

(ცაცა ხელს უწვდის, მძიმედ აყენებს. ნეჟინა ტანსაცმელს ისწორებს)

--ეგ ძაფი, ეს ნახატი (პლაკატის ნაშთებზე მიათითებს) და ეგ კასტუმი შავ ცელოფანის პარკში ჩადე და გაიტანე და დასწვით კარგათ...არ დარჩეს...დანა ერთი თვე არ იხმაროთ... ეგ ეხლა დაწყნარდა. აღარ მეენატრება. სულ ჩაკვდება, რო დასწვავ. უცბათ არ შეიძლება...ოცი ლარი და ტაქსის ფული, ზემოდან დაადე რვა ლარი

(ცაცა დესაუსთან მიდის, კარს გამოაღებს, უჯრას გამოსწევს, იქედან ფულს იღებს, თვლა ებნევა. გულფია მიდის, გამოართმევს, უცებ გადათვლის და ნეჟინას უწვდის)

ნეჟინა

-- ხურდა არა მაქ...

ცაცა

--არაუშავს...

ნეჟინა (თავს ზემოთ სამჯერ შემოივლებს ფულს და ჟილეტის ჯიბეში იდებს) --აბა, დასვიდანი...(ჰოლისკენ მიდის, წვეთების შუშით და ჭიქით შემომავალ ჯენეტოს შეეჩეხება)

ჯენეტო

-- ძლივსა ვნახე გოგო...

ნეჟინა (გულფიას გახედავს)

-- ემას მიეცით...ემას უნდა. (გადის.ისმის კარის ხმა)

ჯენეტო (ცაცასთან მიაქვს წვეთები)

-დაჯექი, დაჯექი..რამდენი? (ცაცა ჯდება)

გულფია

-- ოცდათორმეტი...(კედლიდან აფიშის ნარჩენებს ხევს)-- ეტ' წიბე ოჩენ მეშალ და? (ცაცა ხმას არ იღებს, წვეთებს სვამს) ეხლა მორჩება კაკუნი,ბრახუნი... დავისვენებთ. რათ უნდოდა -- ამ ბაზრის ქალის მოყვანა. მი ბი სამი სარვალი..

ჯენეტო

--კარგი, კარგი..მოდი შენც დალიე.

გულფია

--არ მინდა, კაცო... პრიველა ბაწიუშკუ.. (ისმის კარზე კაკუნის ხმა) ეს კიდე... (გულფია გადის)

(ვალერის ხმა დერეფნაში)

-- მოკლედ, წყალი დაკეტილია. ეხლა წყნარათ დავადებ ჟგუტებს, საერთოდ, კიდე, გამოსაცვლელია ეგენი, ქალბატონო. ერთი დღე უნდა... გამოვანგრევთ და ჩავდგამთ ახალს.

გულფია

--რა კარგია...შენ გამოცვლი?

ვალერი

--მეც თუ გინდა..თუ არა, ვინც გინდათ...

გულფია

--არა..მე უკეთესი არ ვიცი...შენ, ტელეფონის ნომერი ხო გაქ? მოხვალ, გააკეთებ. (ცაცა და ჯენეტო ჰოლს უყურებენ. ცაცა გამჭოლი მზერით. ჯენეტოს ჩაეღიმება.) დაგავარილის?... სულ დასველდი რა, ამ ჩვენი წყლით. (ხელით წმენდს კაცს)

ვალერი

-- არა უშავს, ქალბატონო, ეგეთი ხელობა მაქ.

გულფია

--კი. ხელობა.. მაგრამ არ უნდა გაცივდე...ზამთარია...

(ცაცა თავს აქნევს. გულფია ოთახში შემოდის)

გულფია

-ატლიჩნიი მალჩიკ, ვეჟლივიი, სკრომნიი....დალიე რა ერთი, მაგ კაპლების ჭერას. (ჯენეტოს შუშას ართმევს და მაგიდაზე დგამს. გრაფინს იღებს და ჯენეტოს სირჩაში ასხამს. მერე პიანინოსთან მივა, ახდის და ხელს გადაატარებს. ჯენეტოს გამოხედავს. პიანინოს სკამზე ჯდება. რაღაც მელოდიას იღებს ნაზად, ზურგსუკან ისევ გამოხედავს ჯენეტოს. მელოდიას აგრძელებს. მერე სხვაზე ხტება)-- ნადა ბი პოზვაც ნასტროიშჩკა.

ჯენეტო

--პაპუნუ?

გულფია

-- ხაწია, ბი..(არეულად დაკვრას აგრძელებს)

ცაცა (კედელზე კაცის სურათს უყურებს)

--აი, ია ვსიგდა ზნალა...

(გულფია ღიმილით აგრძელებს სხვადასხვა მელოდიებს. ცაცასგან ზურგით ზის და თითქოს ყურადღებას არ აქცევს. ყრუდ მოისმის წყლის ჩქეფის ხმა)

გულფია

--შტო?

ცაცა (ისევ სურათს უყურებს)

-- შტო ონ ს უმა სხაძილ ატ წიბ̇ა...

გულფია (ჩაიცინებს. უკრავს)

--ატ მინია ს უმა სხაძილი

ცაცა

--და რატომ.. რატომ, რატომ იყავი მაგასთან? ია ჟე ტვაია სისტრა. ა ონ მოი მუჟ. პატიოსნი კაცი იყო-- წესიერი, ჭკვიანი...

გულფია

--ვოტ ეტავა, ნი ნადა... ონ ბილ სამდურ.

(თითქოს მელოდია იპოვნაო)

ცაცა

--ონ ბილ ხაროშიი, დასტოინიი ჩელავეკ. შენ კიდევ ყურში უღიღინებდი... დადის და დაუღიღინებს, სულ... ''უნ ბელ დი ვერდემო, ლევარსი, უნ ფილ დე ფუმოოო''... უსინდისო...

გულფია

--ტვაია იძიოტკა ზნახარკა, პარვალა მაიუ აფიშუ. მენია სამ ხიროხიტო პრინიმალ...

ცაცა

--და რა ვქნათ? როგორ გააწვალე წესიერი კაცი, როგორ ყოველთვის...ბესსოვესტნაია. (წამოდგება, პიანინოსთან მიდის, ხელს გადაუსვამს და ძირს გადმოყრის ფოტოებს. ერთი ფოტო კლავიშებზე დაეცემა. გულფია ხელს გაკრავს და იმასაც ძირს გადააგდებს, დაკვრას აგრძელებს)--უსირცხვილო.

(ძირს დაგდებულ ფოტოზე ძმიტრი მოჩანს-ის ახალგაზრდა გულფიასა და აცალგაზრდა ცაცას შორის დგას და ორივეზე ხელი აქვს მხარზე გადახვეული)

გულფია

-- სლუშაი,რას ნერვიულობ, ხო გაწუხებდა?- გიკაკუნა... ამ შენმა ბაბამ თქვა, რო მე მოვენატრე. ეხლა, ვსიო-- აღარ მოვენატრები, ხო? (ჯენეტოს გამოხედავს და ვიოლინოზე ანიშნებს) ი დოლგა ტი ბუძიშ ტამ სიძეც?

(ჯენეტო დგება, ყელსამაგრს იკეთებს, ვიოლინოს და ხემს იღებს და აყოლებს პიანინოს მელოდიას. გულფია თავს უკნიდან ცერს აწევს. უკრავენ ჩარდაშს).

(ცაცა მაგიდიდან სიგარეტს იღებს. დესაუდან სანთებელას. ძლივს უკიდებს და ჯდება)

ცაცა (მოწყენილი ღიმილით)

--მალაძეც ჯენი, რა კაი ფორმაში ხარ..(თვალებს მილულავს. დაკვრა გრძელდება. უცბად ისმის წყლის ხმა, რომელიც ძლიერდება)

ვალერის (ყვირილი)

-- ვაახ! კიდე გააღეთ? ვინ გააღო! გახსნილი მაქ ტრუბები... ვინ გააღო?

(ოთახში შემოვარდება გალუმპული ვალერი, წამით შეხედავს, როგორ უკრავენ გულფია და ჯენეტო)

ვალერი

-- ვიღაცამ წყალი გამოუშვა!. ჩავირბენ.. ძაან მოდის!

(ვალერი გავარდება, ისმის კარის ხმა)

ცაცა

--კოჭლაშვილები...

(წყლის ხმა შხუილით გრელდება)

(ჯენეტო და გულფია ჩარდაშის ხალისიან დაკვრას აგრძელებენ. ცაცა უყურადღებოდ ზის)

გულფია

-- წიტანიკ. კაკ ძაოშევა

(პუჩინის ცნობილი ჰანგები ავსებენ სცენას)

დ ა ს ა ს რ უ ლ ი